



საინფორმაციო
სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი
თანადგომა

თბილისი, საქართველო

2016

წლიური ორგანიზაციული ანგარიში



აყვავებული კომპის ხე თანადგომას სარეაბილიტაციო ცენტრში,
გრემი, კახეთი

წარდგენილი და დამტკიცებულია საერთო კრების მიერ
2017 წლის 9 სექტემბერს

სარჩევი

შემოკლებები	Error! Bookmark not defined.
თანადგომას თავმჯდომარისაგან	3
თანადგომას აღმასრულებელი დირექტორისაგან	5
შესავალი	6
პროგრამები	8
შედეგები სტრატეგიული ამოცანების მიხედვით: სტრატეგიული ამოცანა 1	9
შედეგები სტრატეგიული ამოცანების მიხედვით: სტრატეგიული ამოცანა 2	14
ორგანიზაციული განვითარება	16
შედეგები სტრატეგიული ამოცანების მიხედვით: სტრატეგიული ამოცანა 3	16
პარტნიორობა და ქსელები	16
2016 წლის ფინანსური ანგარიში	17

თანადგომას თავმჯდომარისაგან



ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო,

ჩემთვის პატივია, წარმოგიდგინოთ თანადგომას 2016 წლის ანგარიში.

მინდა გამოვხატო მადლიერება თანადგომას მთელი ადმინისტრაციული, პროგრამული და ტექნიკური პერსონალის მიმართ. მათი პროფესიონალიზმისა და თავდადების დამსახურებაა, რომ თანადგომა კვლავ არის ერთ-ერთი წამყვანი ქართული არასამთავრობო

ორგანიზაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში.

2016 წელს ორგანიზაცია აგრძელებდა მუშაობას სარისკო პოპულაციებთან, როგორებიცაა: მსმ-ები, სექს-მუშაკები, ნარკომომხმარებლები, აივ დადებითი ადამიანები, პატიმრები, პრობაციონერები და მოწყვლადი ახალგაზრდები. ტესტირებას, კონსულტირებას, განათლებასა და მასალებთან ერთად ბევრ მათგანს გაეწია ფსიქოლოგიური დახმარებაც. ყველა ეს სერვისი მიეწოდებოდა თანადგომას ხუთივე განყოფილებაში.

2016 წელს მრავალი სიახლე დაინერგა და მინდა, გაგიზიაროთ მათგან ზოგიერთი რამ, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ორგანიზაციისათვის:

- თანადგომამ განაახლა თავისი გენდერული პოლიტიკა, ასევე, ჩატარდა ორგანიზაციის გენდერული შეფასება და შემუშავდა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა გენდერის თემაზე.
- დაიწყო მუშაობა შიდა უსაფრთხოების რეგულაციების დოკუმენტზე, რომელიც 2017 წელს დასრულდება.
- 2015 წლიდან თანადგომა ჩართული იყო სასკოლო საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის შემუშავებაში. 2016 წელს სტანდარტი ოფიციალურად დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.
- 2016 წელს თანადგომა მონაწილეობას იღებდა განათლების სამინისტროს საექსპერტო ჯგუფში, რომელიც მუშაობს მაღალი კლასებისათვის სამოქალაქო განათლების სტანდარტზე.

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების პლატფორმის ფარგლებში თანადგომა, RFSU-ს სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა ამ საკითხების ადვოკატირების პროცესში, რომელიც მოსდევდა საქართველოს უნივერსალურ პერიოდულ განხილვას ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ.
- შემუშავდა თანადგომას პირველი მობილური ტელეფონის აპლიკაცია ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ქალებისათვის. აპლიკაციაში მოწოდებულია ბაზისური ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვაზე, ის იძლევა მენსტრუალური ციკლის მონიტორინგის საშუალებას, და ასევე შეიცავს ინფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობის ზოგად საკითხებზე.
- შიდსის ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა ქვეყანაში ამ სახის პირველი კოჰორტული კვლევა 500 სერონეგატიური მსმ-ისა. ეს არის პირველი მცდელობა, შეფასდეს აივ-ის ინციდენტობა მსმ-ებს შორის საქართველოში.
- 2016 წლის ბოლოს თანადგომამ დაიწყო მზადება სოციალური ბიუროების გასახსნელად, რომლებიც მოემსახურებიან სექს-მუშაკ და ნარკომომხმარებელ ქალებს და მიაწვდიან მათ უფასო იურიდიულ, სამედიცინო და ფსიქოსარეაბილიტაციო სერვისებს საქართველოს სამ ქალაქში - თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ეს პროექტი ემსახურება მოწყვლადი ქალების გაძლიერებას დისკრიმინაციისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად.

კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო თანადგომას სრულ შტატს, განყოფილებებს, ადმინისტრაციასა და მენეჯმენტს, ასევე ასოციაციის ყველა წევრს მათი წარმატებული მუშაობისა და თანამშრომლობისათვის.

დარწმუნებული ვარ, ერთად შევძლებთ, უკეთესი მომავალი შევქმნათ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში.

პატივისცემით,

ხათუნა ხაჭომია

თანადგომას აღმასრულებელი დირექტორისაგან



ძვირფასო კოლეგებო,

2016 წელი კიდევ ერთი წარმატებული და ნაყოფიერი წელი იყო ჩვენი ორგანიზაციისათვის. ამდენად, ამაყი ვარ, რომ შემიძლია წარმოგიდგინოთ თანადგომას 2016 წლის მიღწევები. ეს იყო თანადგომას 2014-2016 წლების სტრატეგიული გეგმის ბოლო, მესამე წელიწადი და ჩვენმა გუნდმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საუკეთესოდ შეგვესრულებინა ჩვენი გეგმები და მიგვეღწია მიზნებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ 2013 წელს დავისახეთ მომდევნო სამი წლისათვის. ჩვენ გავზარდეთ მუშაობის არეალი, კიდევ ორი განყოფილება დავუმატეთ ჩვენს სტრუქტურას და გავაფართოვეთ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამა.

2016 წელი საინტერესო იყო როგორც პროგრამების განვითარების, ისე ორგანიზაციული მდგრადობისა და სტაბილურობის მიმართულებით მუშაობის კუთხით. ზოგიერთი ჩვენი მიღწევა ეხება ისეთ საკითხებს,

როგორიცაა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირება, გაუმჯობესებული თანამშრომლობა სახელმწიფო ინსტიტუციებთან, ასევე აქტიური საკომუნიკაციო კამპანიის წარმოება ოჯახის დაგეგმვის თემაზე. მინდა, განსაკუთრებით გავუსვა ხაზი მომავალი წლებისათვის ფონდების მოძიების მხრივ მიღწეულ წარმატებებს. გარდა ამისა, ძალიან მიხარია, რომ ვხედავ, თუ როგორ აძლიერებენ თავის პოტენციალს თანადგომას ახალგაზრდა თანამშრომლები, და როგორ იქცევიან ისინი ნამდვილ პროფესიონალებად.

2016 წელს თანადგომამ შეიმუშავა და დასახა ახალი სტრატეგიული მიზნები 2017-2019 წლებისათვის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვექნება მეტი და ხანდახან ახალი გამოწვევები. იმედი მაქვს, მომავალი წლების განმავლობაში ორგანიზაცია შეინარჩუნებს იმავე სულისკვეთებას, ილტვოდეს თავისი მისიის შესრულებისაკენ.

დაბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მხარეს - ორგანიზაციებს და ადამიანებს - რომლებმაც წვლილი შეიტანეს ჩვენს განვითარებაში 2016 წელის განმავლობაში. ესენი არიან ჩვენი შტატი, მოხალისეები, მხარდამჭერები, პარტნიორები, და ასევე გამგეობისა და ასოციაციის წევრები.

პატივისცემით,

ნინო წერეთელი

შესავალი

თანადგომა დაარსდა 2000 წელს როგორც ქართული არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაცია. მას შემდეგ, მრავალ ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობის მეშვეობით ჩვენ ვვითარდებოდით როგორც პროგრამულად, ისე ორგანიზაციულად. თანადგომა მუდმივად მუშაობს ექსპერტიზის გაძლიერებაზე, სერვისების გაუმჯობესებასა და ინსტიტუციონალიზაციაზე, საპარტნიორო ქსელის გაფართოვებაზე, რათა წარმატებით მიაღწიოს თავის სტრატეგიულ მიზნებს.

თანადგომას ხედვაა ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი საზოგადოება, სადაც დაცულია ადამიანთა ჯანმრთელობის უფლება, განათლების სისტემაში დანერგილია სქესობრივი აღზრდა, მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ ეფექტური რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე, შესაბამისად ნაკლებად ვრცელდება ინფექციური დაავადებები, მცირდება აბორტების რიცხვი, მაღალია ოჯახის დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალი რისკის ჯგუფებს, შესაბამისად ნაკლებია ამ საკითხებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები და ასევე ფართოდ დანერგილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები.

ამ ხედვის რეალიზების მიზნით ასოციაციის თანადგომა მისიაა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება პრევენციული, საგანმანათლებლო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისების განხორციელებისა და მათი ადვოკატირების გზით. ასევე თანადგომა უზრუნველყოფს

შესაბამისი ორგანიზაციების, თემების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების განვითარებას.

თანადგომა იზიარებს და საქმიანობებს ახორციელებს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- ყველა ადამიანი თანასწორია მიუხედავად რასის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა;
- გენდერული აქცენტები, ადამიანის უფლებები და არადისკრიმინაციული მიდგომები გამჭოლი თემებია ორგანიზაციის მუშოებაში.

თანადგომა მუშაობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. თანადგომას სერვისები ხელმისაწვდომია რეპროდუქციული ასაკის ზოგადი მოსახლეობისათვის, მაგრამ ორგანიზაცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს და პროაქტიულ პროგრამებს შეიმუშავებს ქალებისათვის და რისკის ქვეშ მყოფი, მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სარისკო პოპულაციებისათვის): მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან - მსმ, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები - ნიმ, სექს-მუშაკები - სმ, ახალგაზრდები, პატიმრები, ლგბტ თემი, ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი, იძულებით ადგილნაცვალი პირები, და სხვა.

გეოგრაფიული მოცვის მხრივ, 2016 წლის ბოლოს თანადგომას ჰქონდა ცენტრალური ოფისი თბილისში და 4 ფილიალი/განყოფილება - საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები - საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ რეგიონებში: ბათუმი (აჭარა),

ზუგდიდი (სამეგრელო), ქუთაისი (იმერეთი) და თელავი (კახეთი). გარდა ამისა, თანადგომას აქვს სოციალური საწარმო “TG Promo”, რომელიც მდებარეობს თბილისში, ხოლო 2016 წელს ორგანიზაციამ გახსნა სარეაბილიტაციო ცენტრი დამოკიდებულების პრობლემების მქონე პირებისათვის გრემში, კახეთის რეგიონში.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია თანადგომას 2016 წლის აქტივობებისა და ფინანსების მიმოხილვა. ანგარიში აგებულია 2014-2016 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, რომელმაც რევიზია განიცადა 2015 წლის ივლისში.

პროგრამები

2014-2016 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, თანადგომას ჰქონდა 3 სტრატეგიული პრიორიტეტი:

1) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (სრჯუ); 2) ფსიქიკური ჯანმრთელობა და 3) ორგანიზაციული განვითარება.

2016 წლის ძირითადი მიღწევები ასეთია:

- სერვისების სახეების, სამიზნე ჯგუფების რაოდენობისა და გეოგრაფიული მოცვის შენარჩუნება სრჯუ პროგრამის ფარგლებში;
- კლიენტების კმაყოფილების ძალიან მაღალი დონე (95%-ზე მეტი), რაც აჩვენა 2014 და 2016 წლების კვლევებმა;
- საქართველოში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ განათლების დანერგვაში ჩართულობა;
- სრჯუ ადვოკატირების გაძლიერება ეროვნულ დონეზე;
- სარეაბილიტაციო ცენტრის შემდგომი მშენებლობისათვის ფონდების მოძიება;
- სოციალური საწარმოსათვის ფონდების მოძიება 2017-2019 წლებში;
- მასმედიასთან თანამშრომლობა სრჯუ და ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე, შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიის მიხედვით;
- გენდერული ძალადობის საკითხებზე მიზანმიმართული მუშაობის დაწყება;
- ქალების მაღალი მოცვა, რაც აჩვენა მობილური ტელეფონის აპლიკაციის „ჩემი კალენდარი“ ჩამოტვირთვების მაღალმა მაჩვენებლებმა;

- აქტიური და წარმატებული ფონდების მოძიება ორგანიზაციის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მომავალ წლებში;
- შტატის წევრების რაოდენობის ზრდა;
- 2017-2019 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც დაამტკიცა საერთო კრებამ.




შედეგები სტრატეგიული ამოცანების მიხედვით: სტრატეგიული ამოცანა 1

მაღალი რისკის ჯგუფებისათვის 2016 წლის ჩათვლით სგგი/აივ პრევენციის სერვისების მიწოდება ხუთ ქალაქში - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი


- გეოგრაფიული მოცვა შენარჩუნებულია 5 ქალაქში და სგგი/აივ სერვისები მიეწოდება ყველა სარისკო პოპულაციას (2014 და 2015 წლების დეკემბრის მონაცემების მსგავსად). ძირითადი რაოდენობრივი შედეგებია:
 - 3826 მსმ მოცულია კონსულტირებითა და აივ/სგგი-იზე და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიწოდებით, 2035 მსმ-მა მიიღო აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების (ნკტ), ასევე სგგი სერვისები, 145 მსმ-მა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგში. გარდა ამისა, 33 აივ დადებითმა მსმ-მა მიიღო მონაწილეობა ტრენინგებსა და CBT კურსებში. 1320 მსმ იქნა მოცული ტუბერკულოზზე სკრინინგით.
 - 3160 სექს-მუშაკი მოცულია კონსულტირებითა და აივ/სგგი-იზე და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიწოდებით, 2111 სექს-მუშაკმა მიიღო ნკტ და სგგი სერვისები, 178 სექს-მუშაკი მონაწილეობდა სხვადასხვა ტრენინგში. 1792 სექს-მუშაკი იქნა მოცული ტუბერკულოზზე სკრინინგით.
 - 15309 საინფორმაციო მასალა გავრცელდა მსმ-ებს, სექს-მუშაკებსა და პატიმრებს შორის;
 - 244401 კონდომი და 32332 ლუბრიკანტი გავრცელდა მსმ-ებსა და სექს-მუშაკებში.

- 6068 პატიმარმა მიიღო ნკტ. 53 მსმ და ნარკომომხმარებელი იყო მოცული ციხეებში ტრენინგებისა და საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიების მეშვეობით აივ/სგგი/ჰეპატიტების თემაზე. 45 პატიმარი დატრენინგდა, როგორც თანასწორგანმანათლებელი.

**2016 წელს ბაზისური (მინიმალური)
პრევენციული პაკეტით მოცული
ინდივიდები სარისკო
პოპულაციებიდან**



2016 წელს ჩატარებული ნკტ



ბენეფიციარების მოცვა სერვისებით (ბაზისური პაკეტი)

მსმ ითვლება მოცულად აივ-პრევენციული პროგრამებით, თუ მად მიიღო სულ მცირე 2 სერვისი ბაზისური პაკეტიდან (კონდომებისა და ლუბრიკანტების მიწოდება, კონსულტირება და საინფორმაციო მასალები) და მათგან ერთი უნდა იყოს კონდომი - სულ მცირე ერთხელ 6 თვის განმავლობაში. კლიენტების მონაწილეობა საინფორმაციო ღონისძიებებში აივ/შიდსისა და უსაფრთხო ქცევის თემაზე განიხილება, როგორც კონსულტირება. დამატებით ბენეფიციარებმა შეიძლება მიიღონ სხვა სერვისებიც (აივ, სგგი, გადამისამართება სხვა სპეციალისტთან და ა.შ.), კლიენტის საჭიროებებიდან გამომდინარე.

სექს-მუშაკი ითვლება მოცულად აივ-პრევენციული პროგრამებით, თუ მად მიიღო სულ მცირე 2 სერვისი ბაზისური პაკეტიდან (კონდომების მიწოდება, კონსულტირება და საინფორმაციო მასალები) და მათგან ერთი უნდა იყოს კონდომი - სულ მცირე ერთხელ 6 თვის განმავლობაში. კლიენტების მონაწილეობა საინფორმაციო ღონისძიებებში აივ/შიდსისა და უსაფრთხო ქცევის თემაზე განიხილება, როგორც კონსულტირება. დამატებით ბენეფიციარებმა შეიძლება მიიღონ სხვა სერვისებიც (აივ, სგგი, გადამისამართება სხვა სპეციალისტთან და ა.შ.), კლიენტის საჭიროებებიდან გამომდინარე.

ბენეფიციარების მოცვა ნკტ-თი

მსმ-ები და სექს-მუშაკები ნკტ-თი მოცულად ითვლებიან, თუ მათ მიიღეს ტესტირების შემდგომი კონსულტირება.



სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირება როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების პლატფორმის ფარგლებში თანადგომა, RFSU-ს სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა ამ საკითხების ადვოკატირების პროცესში, რომელიც მოსდევდა საქართველოს უნივერსალურ პერიოდულ განხილვას ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ. გარდა ამისა, ორგანიზაციამ განაგრძო რეკომენდაციების მიცემა CEDAW-სთვის. თანადგომა მონაწილეობას იღებდა კონსულტაციებში გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე ქვეყნის გარდამავალ გეგმასთან დაკავშირებით და დაიწყო აივ-ის პრევენციის სტანდარტებზე მუშაობა სექს-მუშაკებსა და მსმ-ებს შორის, განფასებასთან ერთად.

თანადგომამ დაიწყო აქტიური პოლიტიკის დიალოგის პროცესი, რათა მოხდეს თბილისის მერიის მიერ სარისკო პოპულაციებში აივ/ტბ სერვისების დაფინანსებისა და მხარდაჭერის ადვოკაცია ქალაქის დონეზე. ჩატარდა ორი შეხვედრა თბილისის მერიის წარმომადგენლებთან, მერის ჩათვლით. ორგანიზაციამ წვლილი შეიტანა რეგიონული პროექტის განაცხადის შეტანაში, რომელიც მიზნად ისახავს არასამთავრობო ორგანიზაციების მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსების ადვოკატირება. განაცხადი დაფინანსდა და პროექტის განხორციელება დაიწყო 2017 წლის იანვარში.

ტუბერკულოზის, როგორც აივ-თან ასოცირებული დაავადების პრევენციისა და მკურნალობაზე გაუმჯობესებულ დამყოლობაში წვლილის შეტანა

ეს არის ახალი ამოცანა, რომელიც დაემატა სტრატეგიულ გეგმას გადახედვის პროცესში. ამ ამოცანის ფარგლებში 2015 წელს განხორციელდა ორი პროექტი. 2016 წელს აქტივობები არ განხორციელბულა.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა ახალგაზრდებისათვის (14-24 წელი)

თანადგომას ექსპერტები ჩართულნი იყვნენ საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის შექმნაში 2015 წლიდან. 2016 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ეს სტანდარტი.

2016 წელს თანადგომას ექსპერტები მონაწილეობას იღებდნენ განათლების სამინისტროს საექსპერტო ჯგუფში, რომელიც მუშაობდა სამოქალაქო განათლების სტანდარტზე მაღალი კლასებისათვის. გარდა ამისა, მომზადდა საპილოტე პროექტი სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით სკოლებში. პილოტური გაკვეთილები ჩატარდება 2017 წელს შერჩეულ სკოლებში.

2016 წლის განმავლობაში თანადგომამ დაატრენინგა სკოლების დირექტორები და ჟურნალისტები სრულ და ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხებზე. გარდა ამისა, ორგანიზება გაუკეთა რამდენიმე თოქ-შოუს, სადაც მონაწილეობა მიიღეს თანადგომას ექსპერტებმა და ისაუბრეს სრულ განათლების მნიშვნელობაზე.



ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია ქალებში

საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ამაღლების მოკლევადიანი პროექტი განხორციელდა ამ სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში სამეგრელოს რეგიონში. ზოგად მოსახლეობასთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ონკოლოგიური დაავადებების ბაზისური სიმპტომები და დიაგნოსტიკური პროცედურები.



ლგბტ ადამიანების და სექს-მუშაკი ქალების სათემო მობილიზაციის ხელშეწყობა და ტექნიკური დახმარების გაწევა

თანადგომა აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას გაეროს მოსახლეობის ფონდთან, როგორც მისი სტრატეგიული პარტნიორი, რათა მოეხდინა ახალი ინსტრუმენტების - MSMIT და SWIT (მსმ-ებსა და სექს-მუშაკებისათვის) პოპულარიზაცია თემის წევრებსა და სათემო ორგანიზაციებს შორის.

ამის პარალელურად, თანადგომამ მოიძია ფონდები და დაიწყო მიზანმიმართული მუშაობა გენდერული ძალადობის დასაძლევად მოწყვლად ქალებს - სექს-მუშაკ და ნარკომომხმარებელ ქალებს შორის.

რაც შეეხება ლგბტ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და მათ მხარდაჭერას, თანადგომამ განახორციელა და დაასრულა პროექტი ორ მათგანთან - ესენია „იდენტობა“ და ლგბტ საქართველო (ამჟამად „თანასწორობის მოძრაობა“). ევრაზიის მამაკაცთა ჯანმრთელობის კოალიციისა და გლობალური ფონდის მხარდაჭერით თანადგომამ ჩაატარა ორგანიზაციული პოტენციალის შეფასება სერვისების მიწოდებაში, ასევე ჩაატარა იმ მთავარი დაინტერესებული მხარეების (სერვისის მიმწოდებლები, ადგილობრივი და ეროვნული გადაწყვეტილებების მიმღებები, საერთაშორისო და უცხოური პარტნიორები) რუკაზე დატანა, რომლებიც მუშაობენ საქართველოში აივ-ის, სქესობრივი ჯანმრთელობის, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. შეფასდა ამ მხარეების თანამშრომლობის დონე ლგბტ ორგანიზაციებთან, რათა გაიზარდოს გეების, სხვა მსმ-ებისა და ტრანსგენდერების მიერ აივ-ის პრევენციისა და მკურნალობის სერვისების გამოყენება.

თანადგომას ექსპერტებმა შექმნეს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შეუძლია სათემო ორგანიზაციებს, რათა შეაფასონ მსმ-ებსა და ტრანსგენდერ ინდივიდებზე მიმართული სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი.

შეიქმნა ლგბტ თემის გზამკვლევი/გეგმა, რათა გაუმჯობესდეს თემის ჩართულობა გლობალურ ფონდთან

დაკავშირებულ პროცესებში და აივ-პრევენციული სერვისების მიწოდებაში.

სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე და ოჯახის დაგეგმვის მეთოდებზე ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება რეპროდუქციული ასაკის ქალებისათვის¹




მომზადდა სამი ვიდეორგოლი (ერთი მათგანი - ანიმაციური) ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე. ვიდეორგოლები გაშვებულ იქნა ცენტრალურ სატელევიზიო არხებზე, როგორც სოციალური რეკლამა. ვიდეორგოლების მიზანი იყო ოჯახის დაგეგმვის მეთოდებზე ზოგადი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

ამ კომპონენტის ფარგლებში შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიის მიხედვით თანადგომას ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს პოპულარულ სატელევიზიო შოუში „იმედის შუადღე“ ტელეარხზე

¹ <https://www.facebook.com/reproduciuli.janmrteoba/>

„იმედი“. მედიასტატისტიკის მიხედვით, ამ გადაცემას პირდაპირ ეთერში უყურა 85000 მაყურებელმა. ინტერნეტ-რესურსებზე გადაცემა ნახა 997 პირმა, ასევე დარეგისტრირდა პროგრამის 34 გაზიარება.

ამ მიმართულებით ძირითადი მიღწევაა ის, რომ ქალებისათვის შეიქმნა მობილური ტელეფონის პირველი ქართულენოვანი აპლიკაცია ოჯახის დაგეგმვაზე. 2016 წლის ბოლოსთვის დაფიქსირდა აპლიკაციის 840 ჩამოტვირთვა iTunes-იდან და 4000 ჩამოტვირთვა Google Play-იდან. აპლიკაცია იძლევა ბაზისურ ინფორმაციას ოჯახის დაგეგმვის მეთოდებზე, იძლევა მენსტრუალური ციკლის მონიტორინგის საშუალებას, და ასევე შეიცავს ინფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობის ზოგად საკითხებზე.



სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება

შიდსის ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა ქვეყანაში ამ სახის პირველი კოჰორტული კვლევა 500 სერონეგატიური მსმ-ისა საქართველოს სამ ქალაქში - თბილისი, ქუთაისი და ბათუმი. კვლევის შედეგად გამოვლინდება მსმ-ებში აივ-ის ეპიდემიის წამყვანი ფაქტორები, რაც არსებითია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვისათვის. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი მცდელობა, შეფასდეს აივ-ის ინციდენტობა მსმ-ებს შორის საქართველოში.

შედეგები სტრატეგიული ამოცანების მიხედვით: სტრატეგიული ამოცანა 2

მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური სერვისების უზრუნველყოფა შემდეგი ჯგუფებისათვის: პატიმრები, აივ დადებითი ადამიანები, ნარკომომხმარებლები, რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ქალები

2016 წლის განმავლობაში თანადგომამ მოახერხა ყველა ზემოაღნიშნული ჯგუფისათვის ფსიქოსოციალური სერვისების მდგრადობის უზრუნველყოფა. მეტიც, ორგანიზაცია გაფართოვდა გეოგრაფიულად, რადგან გრემში, კახეთის რეგიონში, გაიხსნა სარეაბილიტაციო ცენტრი დამოკიდებულების მქონე ადამიანებისათვის.




2016 წლის განმავლობაში თანადგომას სოციალურმა ბიუროებმა ბენეფიციარებს მიაწოდეს 1195 სერვისი, მათგან 613 - სამედიცინო, 142 - ფსიქოლოგიური, 439 - სოციალური და 1 - იურიდიული.

17 ბენეფიციარი (ყოფილი მომხმარებელი) დასაქმებული იყო თანადგომას სოციალურ საწარმოში. გრემის სარეაბილიტაციო ცენტრში 2016 წილს აპრილი-დეკემბრის პერიოდში დარეგისტრირდა 16 ბენეფიციარი, მათგან 9-მ დაასრულა რეაბილიტაციის კურსი (მინიმალური ხანგრძლივობა - 1 თვე).

CBT კურსი ჩაუტარდა პუბუს და საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ 10 ქალს.

აივ დადებითი მსმ-ებისათვის თანადგომას ექსპერტებმა შეიმუშავეს CBT კურსი და 33 მსმ-ს ჩაუტარდა 10-კვირიანი კურსი. გარდა ამისა, მათ მიეწოდებოდათ სხვა სახის ფსიქოლოგიური მხარდაჭერაც.

თანადგომას სოციალური ბიუროების მიერ მიწოდებული სერვისები



ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა შემდეგი ჯგუფებისათვის: პაციმრები-ნარკომომხმარებლები, რეპროდუქციული სისტემის ონკოდაავადებების მქონე ქალები

თანადგომას ექსპერტებმა შექმნეს სპეციალური კოგნიტუ-ბიჰევიორული თერაპიის (CBT) მოდული აივ დადებითი პაციმრებისათვის. ასევე შემუშავდა ციხეებში თვითდახმარების ჯგუფების წარმართვის მოდული. ორივე მოდული გადაეცა პენიტენციურ დეპარტამენტს.

ორგანიზაციული განვითარება

შედეგები სტრატეგიული ამოცანების მიხედვით: სტრატეგიული ამოცანა 3

- 2016 წელს თანადგომა აგრძელებდა ფონდების აქტიური მოძიებას. სხვადასხვა დონორთან წარდგენილი იყო 14 ახალი განაცხადი, მათგან 10 (70%) დამტკიცდა და დაფინანსდა.
- წლის განმავლობაში თანადგომამ აიყვანა 11 ახალი თანამშრომელი, ასე რომ, 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით, ორგანიზაციაში მუშაობს 78 ადამიანი როგორც სრულ, ისე არასრულ განაკვეთზე.
- 2016 წელს თანადგომაში გააგრძელდა სტაჟირების პროგრამა. ჯამში 8 სტაჟიორმა გაიარა პრაქტიკა თანადგომაში. სტაჟიორები იყვნენ თბილისის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.
- 2016 წელს თანადგომამ განაახლა თავისი გენდერული პოლიტიკა, ასევე, ჩატარდა ორგანიზაციის გენდერული შეფასება და შემუშავდა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა გენდერის თემაზე. ასევე, დაიწყო მუშაობა შიდა უსაფრთხოების მარეგულირებელ დოკუმენტზე, რომელიც დასრულდება 2017 წელს.

პარტნიორობა და ქსელები

თანადგომა არაერთი ეროვნული და რეგიონული ქსელის, კოალიციის, პლატფორმისა და საბჭოს წევრია. ეროვნულ დონეზე ესენია:

სგგი/აივ სამუშაო ჯგუფი; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი; საქართველოს კოალიცია ბავშვთა და ახალგაზრდათა კეთილდღეობისათვის; კოალიცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

რეგიონულ დონეზე თანადგომა შემდეგი სტრუქტურების წევრია: AIDS Action Europe, მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიის კოალიცია (ECOM), სამხრეთ კავკასიის აივ-ის ქსელი, ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელი, ინიციატივა HIV in Europe, სარისკო პოპულაციების ევრაზიის ქსელი (EKPN).

2016 წელს თანადგომამ გააგრძელა წარმატებული თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან, პრობაციის ეროვნულ ბიუროსთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან, თბილისის მერიასთან, შიდასის ცენტრთან და ა.შ.

იმ რეგიონული პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში, სადაც თანადგომა მონაწილეობს, 2016 წლის განმავლობაში თანადგომამ გააგრძელა აქტიური თანამშრომლობა სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციებთან უკრაინაში, ყაზახეთში, ბელარუსში, მოლდავეთში, რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სხვა ქვეყნებში.

2016 წლის ფინანსური ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები გამოხატულია ლარში

საბალანსო უწყისი	31-12-15	31-12-16
აქტივები		
ფული და მისი ექვივალენტები	146,493	973,222
დებიტორული დავალიანება	368,085	192,141
მატერიალურ-საწარმოო მარაგები	18,070	17,601
წინასწარ გადახდილი გადასახადები	51,823	68,404
წინასწარი გადახდები	-	3,180
სულ მიმდინარე აქტივები	584,471	1,254,548
ძირითადი საშუალებები	346,570	325,485
არამატერიალური აქტივები	2,697	2,292
სულ გრძელვადიანი/არამიმდინარე აქტივები	349,267	327,777
სულ აქტივები	933,738	1,582,325
ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	111,763	145,385
გადასახადის ვალდებულებები	16,935	23,990
ები დონორების მიმართ	395,648	1,260,872
სულ მიმდინარე ვალდებულებები	524,346	1,430,247
დაგროვილი სახსრები		
შეზღუდული ფონდები	507,921	285,023
შეუზღუდავი ფონდები	-98,529	-132,945
სულ დაგროვილი სახსრები	409,392	152,078
სულ ვალდებულებები და დაგროვილი სახსრები	933,738	1,582,325

ფინანსური მაჩვენებლები 2016 წლის

31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები გამოხატულია ლარში

	31.12.2015	31.12.2016
შემოსავლები	სულ	სულ
შემოსავლები კომერციული საქმიანობიდან	218,454	48,032
შემოსავლები ფონდების მოძიებიდან	2,321,676	1,923,442
სხვა არაფულადი შემოწირულობები	-	-
სულ შემოსავლები	2,540,130	1,971,474
ხარჯები		
საოპერაციო ხარჯები	2,500,721	1,949,934
ცვეთის/ამორტიზაციის დანახარჯები	39,553	52,170
სულ ხარჯები	2,540,273	2,002,104
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა პროფიტი/დეფიციტი	(143)	(30,630)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები		
შემოსავლები პროცენტიდან	443	83
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	78	393,735
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(46,700)	(620,502)
წმინდა პროფიტი/დეფიციტი დაბეგვრამდე	(46,323)	(257,314)
მოგების გადასახადი	6,423	-
პროფიტი/დეფიციტი გადასახადის შემდეგ	(52,746)	(257,314)

შემოსავლები ფონდების მოძიებიდან

თანხები გამოხატულია ლარში

	2016 წ.	
	(ლარი)	%
Global Fund to fight TB, AIDS and Malaria	1,336,912	69.5%
RFSU	253,114	13.2%
Caritas Czech Republic	30,558	1.6%
Caritas Austria	6,745	0.4%
AIDS Research	22,100	1.1%
AFEW	83,988	4.4%
Mainline	1,438	0.1%
SIDA	29,421	1.5%
GYLA	6,556	0.3%
European Union	6,767	0.4%
UNDP	48,356	2.5%
IOM	65,529	3.4%
საწევრო შენატანი	760	0.04%
სხვა (ჩათვლილი დღგ, ცვეთა...)	31,198	1.6%
სულ	1,923,442	100%